შავი ზღვის “ლურჯი ეკონომიკის’’ შესახებ დაინტერესებულ მხარეთა კონფერენცია

15 სექტემბერი 2017,

სასტუმრო რედისონი, ბათუმი საქართველო

ძვირფასო სტუმრებო,

ქალბატონებო და ბატონებო,

მოგესალმებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელით.

პირველ რიგში, ნება მიბოძეთ, მადლობა გადავუხადო კონფერენციის ორგანიზატორებს, კერძოდ, DG Mare-ს ასეთი წარმომადგენლობითი შეხვედრის დაგეგმვისა და ორგანიზებისათვის. მოხარული ვართ, რომ „ლურჯი ეკონომიკის“ შესახებ შავი ზღვის ქვეყნების კონფერენციას წელს საქართველო მასპინძლობს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ ბათუმში, სადაც უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა მაღალი დონის შეხვედრების გამართვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, გასულ წელს, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რიგით მე-8 გარემოსდაცვითი მინისტერიალის „გარემო ევროპისათვის“ (Environment for Europe) ჩატარება. მინისტერიალის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა პან-ევროპულ რეგიონში. დღეს კი, ერთი წლის თავზე, შავი ზღვის რეგიონში ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე ვმსჯელობთ.

დამეთანხმებით, რომ ოკეანეებისა და ზღვების როლი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად იზრდება. საზღვაო რესურსების გონივრული მართვა და ზღვების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება არის გზა მდგრადი მომავლისკენ, რისი მიღწევაც შეუძლებელია ერთობლივი ძალისხმევის გარეშე.

აქ დამსწრეებს კარგად მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შავ ზღვას მისი აუზის ქვეყნების ეკონომიკისთვის. შავი ზღვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსულ პოტენციალს, რეკრეაციულ ზონას, საგარეო კავშირ-ურთიერთობების ძირითად არტერიას და ამავე დროს, დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი ჰავისა და ეკოსისტემის ფორმირებაზე.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზღვაო გარემო ძალიან მგრძნობიარეა ანთროპოგენული ზეგავლენის მიმართ. განსაკუთრებით საფრთხის შემცველია ხმელეთზე განლაგებული ობიექტებიდან და გემებიდან ზღვის წყლის დაბინძურება, ზღვის ნარჩენებით დანაგვიანება, თევზის გადაჭარბებული რეწვა, ინვაზიური სახეობების შემოჭრა და თევზის საარსებო გარემოს ეტაპობრივი დეგრადაცია.

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, აქტიურად მუშაობს საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში ევროგაერთიანების ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესრულებაზე. კერძოდ, მიმდინარეობს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია აღნიშნულ დირექტივასთან. საზღვაო გარემოს გასაუმჯობესებლად დაგეგმილია ზღვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება.

ცალკე ყურადღება ეთმობა საკითხებს, რომლებიც ცალსახად არც ერთი უწყების კომპეტენციას არ წარმოადგენს და რომელთა მართვაც უწყებათაშორის კოორდინაციას საჭიროებს. ამიტომ საზღვაო მმართველობის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრის, ევროკავშირის ინტეგრირებულ საზღვაო პოლიტიკასთან დაახლოებისა და ქვეყანაში საზღვაო მმართველობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2017 წლის იანვარში შეიქმნა „საზღვაო მმართველობის საკითხთა კოორდინაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი", რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ყველა დაინტერესებული სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიზანია ევროკავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და ეროვნულ პოლიტიკაში ასახვა.

მინდა ხაზი გავუსვა საერთაშორისო ორგანიზაციების უდიდეს როლს საზღვაო გარემოს მართვის გაუმჯობესების მიმართულებით. წლების განმავლობაში არაერთი რეგიონული პროექტი განხორციელდა ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შავი ზღვის კომისიისა და სხვა დონორებისა და პარტნიორების მონაწილეობით. მიმდინარე პროექტებიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით მიმდინარე პროექტი - „შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება" (EMBLAS). პროექტის ფარგლებში, 2016 და 2017 წლებში საქართველოს, უკრაინის და ევროკავშირის ქვეყნების წამყვანმა ექსპერტებმა შავი ზღვის ერთობლივი კვლევები განახორციელეს, რაც შავი ზღვის ქვეყნებს მისცემს უფრო სრულყოფილ ინფორმაციას ზღვაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მისასალმებელია, რომ ევროკომისია გეგმავს ტექნიკური დახმარების მექანიზმის „Blue Economy Facility" შექმნას შავი ზღვის ქვეყნებისათვის. მხარს ვუჭერთ ამ მნიშვნელოვან ინიციატივას და მზად ვართ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ პროცესში. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რეგიონული თანამშრომლობა განვითარდეს ისეთი კონკრეტული მიმართულებებით, როგორიცაა:

- საზღვაო საკითხებისადმი ინტეგრირებული მიდგომის წახალისება, განსაკუთრებით დარგთაშორისი ინიციატივების განვითარების მხარდაჭერით;
- ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენების დაგეგმვა;
- სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა ეკოსისტემური მიდგომის შესაბამისად;
- საზღვაო მრეწველობაში ინოვაციების წახალისება;
- რეგიონში შავი ზღვის საკითხებზე საერთო ინტერესთა სფეროების იდენტიფიცირება ევროკავშირის ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკის კონტექსტში.

დასასრულს ნება მიბოძეთ, შეხვედრის ყველა მონაწილეს გისურვოთ ნაყოფიერი სამუშაო დღე. იმედი მაქვს, რომ დღევანდელი კონფერენცია და მისი შედეგები საზღვაო გარემოს დაცვის სფეროში შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების საფუძველი გახდება, რაც თავისთავად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.